დაგეგმეთ ექსკურსია, მარტივად და სახლიდან გაუსვლელად:

ჩაერთე უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში პორტალზე:

chaerte.sca.ge

მისამართი:

ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N 37

ტელ: (+995 322) 28 54 48 / (+995 322) 28 54 89

contact@sca.ge

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ექსკურსია უმაღლეს საბჭოში

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

UNDP

ეს პუბლიკაცია მომზადებულია აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ, ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მხარდაჭერით და, შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს მათ შეხედულებებს.

ექსკურსია უმაღლეს საბჭოში - ეს არის შესაძლებლობა, დეტალურად გაეცნოთ საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილებას და საქმიანობის პრინციპებს, მეტი გაიგოთ მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმებზე, დაათვალიეროთ უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობა, გაიგოთ მისი ისტორია.

ექსკურსიის დაგეგმვა შეუძლიათ:

- სკოლებს
- უნივერსიტეტებს/ფაკულტეტებს
- ნებისმიერ დაინტერესებულ მოქალაქეთა ჯგუფს

ექსკურსიის დროს გაეცნობით:

- აჭარის უმაღლესი საბჭოს ისტორიას
- ქართული კონსტიტუციონალიზმის საფუძვლებს
- სახელმწიფოს მოწყობის საკითხებს
- უმაღლესი საბჭოს ფუნქციებს
- საბჭოს ფორმირების წესს
- უმაღლესი საბჭოს სპეციფიკას
- საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების მიმოხილვას
- ავტონომიის როლს სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემაში

როგორ დაგეგმოთ ექსკურსია?

ექსკურსიის დაგეგმვა შესაძლებელია:

ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით სამუშაო საათებში.

ექსკურსიის დასაგეგმად მოგვწერეთ ელექტრონულ ფოსტაზე: chaerte@sca.ge
ან დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე:
577 99 90 25

ექსკურსიის დასაგეგმად საჭიროა მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

ორგანიზაციის (სკოლა, უნივერსიტეტი, სხვა) დასახელება, ექსკურსიის მონაწილეთა სია, სახელის, გვარის და პირადი ნომრის მითითებით*, საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომერი.

ექსკურიის მონაწილეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 30 ადამიანს.

ჩვენ დაგეხმარებით ექსკურსიის დაგეგმვაში, რათა თქვენი ვიზიტი უმაღლეს საბჭოში იყოს კომფორტული, საინტერესო, ინფორმაციული და დასამახსოვრებელი.

ვიზიტის დასასრულს შეგიძლიათ გადაიღოთ საერთო ფოტო.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე, უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის შესასვლელში მოქალაქეები (ვიზიტორები) გაივლიან შემოწმებას ლითონის დეტექტორის საშუალებით. შეიძლება, დაცვის სამსახურის მოთხოვნით, ჩართულობის ცენტრში დატოვონ ისეთი პირადი ნივთები, როგორიცაა: ჩანთა, ქურთუკი, ქოლგა და ა.შ.

საბჭოს შენობაში დიდი ზომის ჩანთების (ჩემოდნების) შეტანა არ არის დაშვებული, რადგან შემოწმება დიდ დროს მოითხოვს, ასევე, არ არის სივრცე მსგავსი ნივთების შესანახად.

ბოდიშს გიხდით შესაძლო შეფერხებისთვის.

უმაღლესი საბჭოს შენობაში მიმდინარეობს ვიდეოკონტროლი

* პირადი ნომერი აუცილებელია საშვის დასამზადებლად